№ 200 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მანეთი. კვირა 7 სექტემბერი 1919 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით) „საქართველოს რესპუბლიკა" მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. საპალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს [illegible] საყურადღებოდ,

რომ, თანახმად სანიტარული გადასახადის [illegible] წესების მე-11 მუხლისა, მან დაამტკიცა განაწილება შემდეგ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა შორის: რკინეულობის საწყობების პატრონთა, ამკინძავი (переплетная) სახელოსნოებისა, ტყავის ქარხნებისა, კოლოფების სახელოსნოებისა, შორენი-მეჩხავერის სახელოსნოებისა, ბაყლის დუქნების, საყასბო დუქნებისა, წიგნების მაღაზიებისა, სანოვაგე-საწყობებისა, [illegible] სახელოსნოებისა, დალაქთა სახელოსნოებისა, გალანტერეულით სავაჭროებისა, რკინეულობით სავაჭროებისა და ნავთითა და ნახშირით სავაჭროებისა. 1603 2—2

საქართველოს ერობების

წარმომადგენელთა მეორე ყრილობა.

11 ენკენ. 1919 წ. დილის 10 საათი.

ქ. ტფილისი, რუსთაველის პრ., № 6

(ტფილისის მაზრის ერობის ბინა).

დღიური წესრიგი: ა) ბიუროს მოქმედების ანგარიში. ბ) ერობების მდგომარეობა (მოხსენებანი ადგილებიდან). გ) ერობათა ცენტრის ორგანიზაცია. დ) საერობო დებულებანი: ცენტრის, მაზრის და თემის ერობათა. ვ) ერობების ფინანსიური მდგომარეობა. გ) ადმინისტრაცია. ზ) მიმდინარე საკითხები. 1607 2 2

ტფილისის ქალაქის თვითმმართველობა

აცხადებს, რომ დღეს, 6 სექტ., დილის 10 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა 1920 წ. აგვისტოს 7-მდე შემდეგი აბანოები: 1. ყოფ. „მარსაკულოვისა", მე 6 უბნ. კომისარიატის წინ. 2. ყოფ. „გოგილო", კახეთის ქ., № 35. 3. ყოფ. „თამამშევის", ვორონცოვის ქ., № 63. 4. ყოფ. „ედიგაროვისა", ვორონც. ქ. ცნობების მიღება შეიძლება თვითმართველობის მეოთხე განყოფილებაში მუშაობის დროს. 1606 2—2

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს ბავშვებს გიმნაზიის დაბალი კლასებისათვის. იქვე მუსიკის მასწავლებელი აძლევს გაკვეთილებს. მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვიდან. ცნობის მიღება და ჩაწერა მოწაფეებისა შეიძლება დავიდოვის ქუჩაზე, 36, დილის 9—10 სათამდე. 5—3

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების

გამგეობა აცხადებს, რომ საზოგად. აქციონერთა საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია კვირას 7 ენკენისთვეს, 12 საათზე, სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა № 6.)

1611 1—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა.

3 სექტემბერი, 1919 წ., № 197.

თავისუფლება მიეცა: კანცელარიის უფროს საქმის მწარმოებელს ეფენია ლაზარსაბის ასულს ყარანგოზიშვილსას, ა. წ. ღვინობისთვის 1 მდე.

იუსტიციის მინისტრის მაგ. **ნ. ქიქოძე.**

გზათა სამინისტროსი.

31 აგვისტო, 1919 წ., № 86.

საავტომობილო განყოფილებისადმი.

ვინაიდან 23 აგვისტოს ხელი მოეწერა ხელშეკრულობას სატრანსპორტო საზოგადოებასთან და მთელი ქონება, გარდა იმისა რაც სჭირდება მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებებს, უნდა გადაეცეს აღნიშნულ საზოგადოებას, წინადადებას ვაძლევ საავტომობილო განყოფილების უფროსს:

I.

სექტემბრის 5 მდე დაამთავროს მთავრობის დაწესებულებებისათვის გამოყოფილ ქონების ჩაბარება, რისთვისაც მიმართოს სათანადო დაწესებულებებს გაფრთხილებით რომ, რასაც არ წაიღებენ ამ რიცხვამდი ის აღარ მიეცემათ.

II

გამოიყოს არსებულ შტატიდან მცირე სალიკვიდაციო შტატი, არა უმეტეს 8 პირისა, სატრანსპორტო საზოგადოებისათვის ქონების ჩასაბარებლად და სათანადო აქტების და სიების შესადგენათ თანხმად შემფასებელ კომისიის გადაწყვეტილებისა.

სია ამ შტატის წარუდგინოს ბ. მინისტრს დასამტკიცებლად სამი დღის განმავლობაში.

III.

მთელი დანარჩენი შტატი, აგრეთვე მთელი მუშაობა: საწყობების დაცლა, მოვლა, დარაჯობისა და სხვა აგრეთვე ხარჯი ამ მიზნებისათვის ამიერიდან გადადის სატრანსპორტო საზოგადოების ხელში. ხარჯი და ანგარიშის გასწორება მეხანიკურ სახელოსნოებში, რომლებიც აპრილის თუთხმეტიდან სატრანსპორტო საზოგადოების ექსპლოატაციაში იმყოფებიან, იმავე რიცხვიდან სატრანსპორტო საზოგადოების მზრუნველობის საგანს შეადგენს.

IV.

შენობების და საზოგადოდ უძრავ ქონების გადაცემა თანახმად ხელშეკრულობისა ხდება იჯარით. იჯარის პროექტები ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა წარუდგინოს განსახილველად გზათა დეპარტამენტს და სახელმწიფო კონტროლს.

V.

სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელი მონაწილეობს ყველა ზემოაღნიშნულ ოპერაციებში მიღებულ წესის თანახმად.

VI.

საბოლოო სიებს გადაცემისას, აგრეთვე აქტებს ხელს აწერენ საავტომობილო განყოფილების უფროსი, სატრანსპორტო საზოგადოების წარმომადგენელი და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელი.

გზათა მინისტრი **ხომერიკი.**

—

საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის უფროსისა.

10 აგვისტო, 1919 წ. № 42.

დანიშნულნი არიან: პირველი ხარისხის მოხელე სტავროპოლის კანტორისა იაკოფ გაბუნია მე 3 ხარ. მოხელეთ ტფილისის ტელეგრაფში. ხაშურის მე-4 კლასის კანტორის უფროსი იოსებ დევაძე ქუთაისის ფოსტის კანტორის, ვერა ბარაბაძე ფ. ტ. მოხელეებათ იმავე კანტორებში: დევაძე მე 2 ხარ. და ბარაბაძე მე 6 ხარისხით. ფ. ტ. მოხელეები: მე 3 ხარისხის მოხელე ტფილისის ფოსტის კანტორისა გრიგოლ ქურთიშვილი და ახალსენაკის კანტორის მე-4 ხარ. აკაკი ქუთათელაძე ფ. ტ. განყოფილების უფროსებათ: ქურთიშვილი მეჯრიხევში და ქუთათელაძე გუბში. გაბუნია 10 აგვისტოდან, დანარჩენი 1 აგვისტოდან, დევაძე თანახმად თხოვნისა.

გამწესებულია: კანცელარიის მოხელე ოლქის სამმართველოისა ელენე წერეთლისა მოანგარიშე მოხელეთ იმავე სამმართველოში 1 აგვისტოდან.

გადაყვანილნი არიან: ფოსტალიონი ქუთაისის კანტორისა ვარლამ ციბაძე ფ.-ტ. მოხელეები: ტფილისის კანტორის მე 5 ხარ. სერგო კახიანი, ქუთაისის მე-5 ხარ. მარია წიქორიძე სოხუმის მე 5 ხარ. რაისა პიატიშკინა, ბათუმის მე 2 ხარ. ტრიფონი ინასარიძე იმ ავე წოდებებით: წიქორიძე ქუთაისის განყოფილებაში, პიატიშკინა ტფილისის ტელეგრაფში, ციბაძე ბორჯომში, კახიანი გაგრაში, ინასარიძე ახალციხეში, პიატიშკინა 1 აგვისტოდან, დანარჩენნი ოთხნი 11 აგვისტოდან.

დათხოვნილია სამსახურიდან: მე 3 ხარ მოხელე ახალციხის კანტორისა სიმონ ერემოვი თანახმად თხოვნისა 1 აგვისტოდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

—

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავარ საბაჟოში.

30 აგვისტო, 1919 წ., № 18.

გადაყენებულ არიან სამსახურიდან უკანასკნელის ასრულების დროს ჩადენილ ბოროტმოქმედების გამო პასუხის გებაში მიცემით:

მთავარ საბაჟოში: ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროსი თანაშემწე მ. საყვარელიძე 1 აგვისტოდან 1919 წ.

ნატანების საბაჟოში: ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწე ანტონ ასათიანი 26 ივლისიდან 1919 წ.

სადახლოს საბაჟოში: ამავე საბაჟოს გამგის თანაშემწე პ. დვალი ამა წლის 20 ივლისიდან.

ირიცხებიან სრულიად საბაჟო სამსახურიდან, როგორც უვარგისნი მოხელენი:

მთავარ საბაჟოში: ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ილარიონ უნგიაძე 28 ივლისიდან ამა 1919 წ.

ბაკურიანის საბაჟოში: ამავე საბაჟოს გამგის თანაშემწე სერგო ჯინჭველაშვილი ამა 1919 წ. 1 აგვისტოდან.

ოზურგეთის საბაჟოში: ამავე საბაჟოს გამგის თანაშემწე კ. ელიავა 30 აგვისტოდან ამა 1919 წ.

ჩამოყენებული არიან:

ყაზბეგის საბაჟოში: ამავე საბაჟოს გამგის თანამდებობის აღმასრულებელი ა. დეკანოზიშვილი მთავარ საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწედ 26 აგვისტოდან 1919 წ.

ვორონცოვის საბაჟოში: ამავე საბაჟოს გამგე ვასილ კაიშაური ნატანების საბაჟოს საწყობის ზედამხედველად, 26 აგვისტოდან ამა 1919 წ.

მთავარ საბაჟოს გამგე **ბ. მიქაძე.**

—

სიღნაღის უბნის მომრიგებელი მოსამართლისა.

№ 1.

სიღნაღის მომრიგებელი მოსამართლის მდივნის თანაშემწე იოსებ ნიკოლოზის ძე მიქაშვილი დაშვებულია დროებით მდივნის თანამდებობის აღმასრულებლათ, ამავე მოსამართლისა პირველი იანვრიდან 1919 წ.

№ 2.

სიღნაღის უბნის გამომძიებლის საქმის მწარმოებლათ ნამყოფი ზაქარია გიორგის ძე ყაზაზიშვილი დაინიშნა სიღნაღის მომრიგებელი მოსამართლის კანცელარიის გადამწერათ, პირველ იანვრიდან 1919 წ.

№ 4.

ნინო ლუდუშაძე დაინიშნა სიღნაღის უბნის მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიის მანქანაზე გადამწერად პირველი მარტიდან 1919 წ.

№ 4.

დიმიტრი მათეშვილი დაინიშნა სიღნაღის უბნის მომრიგებელ მოსამართლის გზირათ პირველ იანვრიდან 1919 წ.

№ 4.

ვიქტორ ენინი დაინიშნა სიღნაღის უბნის მომრიგებელ მოსამართლის მსახურათ პირველ იანვრიდან 1919 წ.

№ 5.

გადამწერი ზაქარია გიორგის ძე ყაზაზიშვილი დაშვებულ იქნეს სიღნაღის უბნის მომრიგებელ მოსამართლის დროებით თარჯიმნის თანამდებობის აღმასრულებლად.

№ 6.

თამარა გიორგის ასული ორჯონიკიძე დაინიშნა სიღნაღის უბნის მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიის გადამწერად პირველი მარტიდან 1919 წ.

№ 8.

ს. მაღაროში მცხოვრები გიორგი ასლანის ძე მათეშვილი დაინიშნა სიღნაღის უბნის მომრიგებელი მოსამართლის კანცელარიის გადამწერათ პირველი ენკენისთვიდან 1919 წ.

№ 9.

დროებით სიღნაღის უბნის მომრიგებელი მოსამართლის მდივნის თანამდებობი აღმასრულებელი იოსებ ნიკოლოზის ძე მიქაშვილი დამტკიცებულია ამავე თანამდებობაზე.

სიღნაღის უბნის მომრიგებელი

მოსამართლე გ. ი. **ორჯონიკიძე.**

—

გურიის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარისა.

23 აგვისტო, 1919 წ.

ბრძ. № 19.

გურიის სამომრიგებლო ოლქის ყრილობის მდივანს სერგო ალექსის ძე ჩერეპანოვს მიეცა ერთი თვის თავისუფლება ავათმყოფობის გამო. დაბრუნებამდე მისი მოვალეობის ასრულება დაევალა მის თანაშემწეს ნესტორ ივანეს ძე ჩხატარაიშვილს ამა წლის 24 აგვისტოდან.

23 აგვისტო 1919 წ.

ბრძან. № 20.

ვინაიდან გურიის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის მდივნის თანაშემწეს ნესტორ ივანეს ძე ჩხარტარაიშვილს დროებით დაევალა ამავე ყრილობის მდივნის მოვალეობის ასრულება, ამისათვის მისი მოვალეობა დროებით დაევალოს ამავე ყრილობის თარჯიმანს ნიკიფორე ესეს ძე ჯაფარიძეს ამა წლის 24 აგვისტოდან.

23 აგვისტო, 1919 წ.

ბრძან. № 21.

გურიის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თარჯიმნის მოვალეობა დაევალოს დროებით ამავე ყრილობის კანცელარიის მოხელეს მიხეილ ალექსანდრეს ძე ციციშვილს ამა წლის 24 აგვისტოდან.

გურიის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე **ბ. ვ. ხუნდაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქ. სამინისტროში

აძერბეიჯანის წარმომადგენლის თხოვნა

აძერბეიჯანის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოში სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ აძერბეიჯანის რესპუბლიკის სამსახურში მყოფ პირებს აძერბეიჯანში გამგზავრების ნებართვა რიგს გარეშე მისცენ, რადგან რიგის მოცდის გამო მათ უგვიანდებათ დავალებულ საქმის შესრულება.

ნეიტრალურ ზონაში სურსათის გაზიდვის შესახებ.

ნეიტრალურ ზონის კომისარმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყა, რომ მიუხედავად უკვე ძლიერ შუამდგომლობისა, რომ მის დაუდასტურებლად არავის მისცენ ნებართვა ნეიტრალურ ზონის კომისარის სახელზე სურსათის გასაგზავნათ, ქვლავინდებურათ სხვა და სხვა პირები ეზიდებიან პურს და სურსათს ნეიტრალურ ზონაში, ხოლო იქიდან საზღვარს იქით გააქვთ. ნეიტრალურ ზონის კომისარი კვლავ შუამდგომლობს, რომ მის მისამართზე არავის მისცენ ნებართვა სურსათის გაზიდვაზე, თუ კომისარის მოწმობა არ ექნება.

საქართველოს ვაგონების დაკავება სომხეთში.

საქართველოს რკინის გზათა მოძრაობის უფროსმა ინჟ. აბელაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი აუწყა: „ვინაიდან საქართველოსა და სომხეთის რკინის გზების შორის დღევანდლამდე კიდევ არ არსებობს არავითარი შეთანხმებითი დებულებანი, ჩვენ მიუხედავათ ამისა, სომხეთის მდგომარეობის მოთხოვნილებისადაგვარათ განვაგრძობდით სომხეთის გზაზედ ვაგონების გადაცემას, განსაზღვრულ დროში დაბრუნების პირობით. ამის გამო სომხეთის გზას ვალად დაედო 600 ვაგონი. ამ ჟამად ჩვენ გზებზე ვაგონების სიმცირეა: სომხეთის გზა არ გვპირდება ვაგონების დაბრუნებას, ან გაცვლას აქედან გასაგზავნ, ვაგონებზე, რომლებიც ეხლა სანაინში დგას დატვირთული და აგრეთვე 30 ვაგონი ლტოლვილებით. ასეთი მდგომარეობა ჰქმნის სად. სანაინში შევიწროებას, ვაგონების უბრალოდ დაბანდებას და ლტოლვილთა დაკავება სადგურს ანტი სანიტარულ მდგომარეობაში აყენებს.

სინემატოგრაფიულ სურათების გადაღება.

სინემატოგრაფიულ სურათების გადამღებმა საზოგადოება „ფილმა“-მ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ მას სინემატოგრაფიული სურათების გადაღების ნება მისცეს მთელ საქართველოში.

აქციონერულ საზოგადოება „ფილმა“-ს ნება მიეცა სურათების გადაღებისა ყველგან, გარდა დარიალის ხეობისა, სამხედრო მოქმედების რაიონის, სანაპირო ადგილებისა და რკინის გზების ახლოს.

ქუთაისის სამაზრო ერობის შუამდგომლობა.

საუწყებათაშორისო კომისიას გადაეცა ქუთაისის სამაზრო ერობის შუამდგომლობა სად. მუხიანსა, კოპიტნარსა, რიონსა, აჯამეთსა, სვირსა, ტყიბულსა და საჯავახოში საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ.

ვიცე—დირექტორის დაბრუნება.

დაბრუნდა დასვენებიდან და შეუდგა თანამდებობის შესრულებას შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე დირექტორი გ. ნანეიშვილი.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

ღვინის ნაქაჩის გაყიდვა.

მიწათ მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულების განყოფილებამ საჯარო ვაჭრობით გაყიდა სახელმწიფო მამულებიდან ღვინის ნაქაჩი შემდეგ ადგილებში:

წინანდალში—5000 ფუთი—537,500 მან.
მუკუზანში—5000 ფუთი—600,000 მან.
ნაფარეულში—3000 ფუთი—156,000 მან.
კარდანახში—500 ფუთი—72,000 მან.
მანავში—1000 ფუთი—80,5000 მან,
მუხრაანში—2000 ფუთი—113,500 მან.

რევიზიის დამთავრება.

ტფილისს დაბრუნდნენ მიწათ-მოქმედების სამინისტროს დირექტორი მ. ს. ბერიძე და სასოფლო მეურნეობის და სახელმწიფო მამულების ინსპექტორი ბ. ი ვასილიევი, რომლებმაც გიაურ-არხის, ყოფილ არამიანცის, მანთაშევის და სუმბათაშვილების მამულების რევიზია მოახდინეს.

სამუსლიმანო საქართველოში

გაზ. „განახლებული მახხეთის“ № 10 მოწინავე წერილი

ძველი მესხეთი აკვანი იყო საქართველოს კულტურის. დაწყებული ბორჯომის ხეობიდან ვიდრე ისპირ-ბაიბურთ-თორთომამდი ყვაოდა ქართული ხელოვნება, საუკეთესო მამულიშვილები იზრდებოდა განათლებულ მესხეთში და აქედან მთელ საქართველოს ეფინებოდა მაღალი აზრები მგოსნებისა, ხუროთმოძღვართა იშვიათი ქმნილებანი ამშვენებდა საქართველოს დაბა ქალაქებს ერთი სიტყვით მესხეთი გული იყო საქართველოსი, აქ დაიბადა საქართველოს კულტურა, აქ ჩაეწერა ქართველი ერი კულტურულ ერთა ოჯახში.

მაგრამ ეს იყო წარსულში, ოქროს ხანის დროს, მაშინ როცა მტრის მზაკვრული ხელი ჯერ კიდევ არ შეხებოდა ქართველი ხალხის სულს. დღეს კი მესხეთში ამ კულტურის ნაშთები მხოლოდ უთვალავ ნანგრევებშია დამარხული და ამის დასტურათ ახალციხე-ახალქალაქში აქა იქ დარჩენილა წმინდა ქართული სოფლები, შთამომავლობა ძველ მესხთა.

განუსაზღვრელი მწუხარება შეიყრობს მნახველს, თვალები ცრემლებით აგევსებათ, როცა ამ იშვიათ ნანგრევთა ახლოს იპოვით შთამომავლობას ძველი მესხეთის ხალხისა, როცა წარმოიდგენთ საუკუნეთა განმავლობაში მომხდარ უბედურებას და საქართველოს დამარხულ კულტურას ნანგრევების სახით ათვალიერებთ.

ის, რასაც დღეს ვხედავთ ნანგრევთა სახით, არის ქმნილება ძველი ქართული კულტურისა და რომ ამ კულტურისათვის იბრძოდა სხვა და სხვა თაობა ამის მოლაღდებელია დარჩენილი ქართული სოფლები, რომელთა სული და რწმენა ვერ შეულახავს საუკუნეთა ტანჯვას, ვერ გაუსრესია ლოდებს, რომელთაც მტარვალთა ხელები წლებიდან-წლებამდე ანგრევდნენ და ქართველ ხალხის გულს საფლავის ლოდებათ აწვებიან.

დღეს მწარე სინამდვილე თვალწინ გვიდგას. საქართველოს რესპუბლიკის სახით მოვიდა ქართველი ხალხი თავის მამულ-დედულში და იქ მხოლოდ პარტახი იპოვა, დანგრეული ოჯახები, მოოხრებული მიდამოები, ნაწამები ძმები და ბნელით მოცული კუთხე. და ყველაფერი ჩვენგან ხსნას მოელის, ნუგეშს უცდის, მოღლილი, დაქანცული მუდმივი ბრძოლით და შფოთვით მესხეთი დღეს საქართველოს დემოკრატიას შეჰყურებს, რომ განაგრძოს მან ბრძოლა საქართველოს კულტურისათვის, აღადგინოს ნანგრევებიდან აკვანი ჩვენი წარსული დიდებისა.

მეტად მძიმე და პასუხსაგები მოვალეობა აკისრა მდგომარეობამ ჩვენს მთავრობას. მთელი თაობათა ნატვრა, რომლის გამხელაც კი დანაშაულათ იყო აღიარებული მესხეთში, დღეს აღსრულდა საქართველოს ხალხს და მთელი ჩვენი ძალღონე, მთელი ენერგია გაერთიანებულ საქართველოს დემოკრატიისა უნდა მიმართული იქნეს მესხეთში საქართველოს კულტურის აღსადგენათ. ბრძოლა ამისთვის უდიდესი საკითხია დღეს ქართველი ხალხისათვის და ვინც ასე არ ფიქრობს, ის მოვიდეს აქ ახალციხე-ახალქალაქში, ნახოს თავისი თვალით მისი სამშობლოს წარსული, ისწავლოს ისტორია მისი საკუთარ ხალხისა და თუ ამის შემდეგაც მთელ თავის ძალას არ მოახმარს საქართველოს კულტურის აყვავებას, ის მოღალატეა თავის ერის, ის გადაგვარებული ქართველია.

მასწავლებელი, ხელოსანი, მეურნე, უბრალო წერა-კითხვის მცოდნე და ყველა, ყველა ვისაც კი შეუძლია რაიმე სახით გამოხატოს ქართული კულტურა, ვისაც კი შეუძლია წარმოადგინოს თუნდ ლანდები საქართველოს დემოკრატიის სულიერ მოძრაობისა, ყველა ესენი საჭიროა დღეს მესხეთისათვის, მისი ჭრილობების განსაკურნავათ, ნანგრევებიდან საქართველოს ძველი კულტურის აღსადგენათ.

მთავრობას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კერძო პირებს, ყველას ბევრი სურვილები აქვს მესხეთის მომავლისათვის, მაგრამ ეს არ კმარა, მშიერს დაპირებით არ კვებავენ, მას უნდა საზრდო, მაშველი ხელის დაავადმყოფებულ სხეულთან მიტანა, მასი იარების განკურნება. მესხეთის დავრდომილი, მონობისაგან დაძაბუნებული დემოკრატია დღეს იწყებს ხმის ამოღებას თავის გაჭირებაზე და მთელი ქართველი ხალხი უნდა დაეხმაროს მას ამ სუსტი ხმის ამოღებაში, წელში გასწორებაში და მაშინ, როცა ეს ხალხი თვით შესძლებს საკუთარ ძალებით მოძრაობას ქართველ დემოკრატიას უდიდესი დამხმარე ეყოლება სამხრეთის საფრთხის წინააღმდეგ.

სკოლები, სამკითხველოები, საკვირაო მეცადინეობა, ბნელეთიდან ხალხის შვილების გამოყვანა, ახალ ცხოვრების ემბაზით მათი პკურება—აი რა შეაერთებს ახალციხე ახალქალაქს მთლიანათ საქართველოსთან. და ქართველმა ხალხმა ამისთვის უდიდესი მსხვერპლი უნდა გაიღოს, მან არ უნდა დაიშუროს ხარჯები, მან არ უნდა მოაკლოს ამ კუთხეს თავისი ზრუნვა.

დღეს მესხეთში განზრახულია სკოლების გახსნა. საჭიროა ყველაზე გამოცდილი, დინჯი და საქმის მოყვარული მასწავლებლები აქეთ გამოიგზავნოს. ვისაც სწამს მომავალი საქართველო, ვისაც უყვარს თავისი ერის კულტურა, ის არ შეჩერდება დაბრკოლებათა წინაშე და თუნდ მრავალი გაჭირვება მოელოდეს, მაინც შემოიჭრება მესხეთის სოფლების სიბნელეში, რომ ის დაამარცხოს. ეს კი შეუძლია ქართველ მასწავლებელს.

ამავე დროს განზრახულია ახალგაზრდა მუსლიმანთა საქართველოს სხვა და სხვა სასწავლებლებში გაგზავნა, რასაც ენერგიულათ უნდა მოკიდონ ხელი ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და მესხეთს თავის შვილები კულტურით ამაღლებულნი დაუბრუნონ.

მესხეთის განახლების უდიდესი ისტორიული ხანა იწყება და საქართველოს დემოკრატიას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი დაკარგული მამულ-დედულის მონახვა, მტკიცეთ შემოერთება მხოლოდ საქართველოს კულტურისათვის ბრძოლას შეუძლია.

აჭარელთა დელეგაცია.

ტფილისში ჩამოვიდნენ საგანგებო მატარებლით სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის წარმომადგენელნი, მეჯლისის თავმჯდომარის მემედ ბეგ აბაშიძის მეთაურობით. სადგურზე მათ შეეგებნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, დამფუძნებელ კრების წევრნი და ქალაქის მოურავი. მეჯლისის წარმომადგენელნი წარუდგებიან მთავრობას და დამფუძნებელ კრებას მეჯლისის დადგენილების დასამტკიცებლათ.

აჭარელთა წარმომადგენელნი წარსდგომიან აბასთუმანში მთავრობის თავმჯდომარეს ბ. ნ. ნ. ჟორდანიას და მისალმებიან. მთავრობის თავმჯდომარეს მათ მიმართულ სიტყვაზე პასუხი გაუცია და იმედი გამოუთქვამს, რომ მათი კავშირი საქართველოსთან მტკიცეც და გულწრფელი იქნება. სასტუმრო „ორიანტში“ აჭარელთ გაუმართეს სადილი.

თანამედროვე დემოკრატიის უფლება.

§ 7

საკანონმდებლო ხელისუფლებაზე საკანტროლო საშუალებანი, განსაკუთრებით რეფერენდუმი.

1. საკანტროლო საშუალებანი საერთოდ.

როგორც ხალხის რწმუნებულების კრების, დემოკრატიულ სახალხო წარმომადგენლობის ბუნებიდან გამოდის, რომ მნდობელს, ხალხს უნდა ჰქონდეს საშუალება კანტროლი გაუწიოს რწმუნებულებს ესე იგი საკანონმდებლო ხელისუფლებას. დემოკრატიის სამი ფორმიდან თვითეულმა განავითარა თავისი განსაკუთრებული, სპეციფიური საკანტროლო საშუალება.

სადაც არსებობს ცხადათ გამოხატული ბატონობა პარტიებისა, როგორც მაგალითად, დემოკრატიაში ხელისუფლების განაწილებითურთ, და სადაც ეს ბატონობა განსაკუთრებით სცდილობს ისარგებლოს ყველა დემოკრატიის არსებითი მიდრეკილებით, რათა კანონმდებლობას ჩაუგდოს ხელში სახელმწიფოებრივი ხელისუფლება და მით მუქარა შექმნას ხელისუფლების განაწილების მოსასპობათ,—იქ ხალხის კანტროლი უნდა წარმოადგენდეს საკანონმდებლო პროცედურაზე და განსაკუთრებით საპარლამენტო საქმის წარმოებაზე სასტიკ თვალყურისდევნას, ვინაიდან პარტიული ბატონობა თავის მიზნების მისაღწევათ მეტათ იოლათ სარგებლობს საპარლამენტო საქმისწარმოებით.

იქ, სადაც პარტიათა ბატონობა არაა, როგორც უმეშვეო დემოკრატიაში,—სადაც საარჩევნო ბრძოლა სწარმოებს პიროვნებათა გულისთვის და მათ ბატონობის დამკვიდრებისთვის კი არა, არამედ ზომებისათვის,—იქ აზრიც არა აქვს სახალხო კანტროლის დაწესებას საკანონმდებლო ხელისუფლების საქმისწარმოების წესის შემწეობით. ამ შემთხვევაში უფრო უკეთესია, რომ ხალხი ამტკიცებდეს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დაწესებულ ზომებს, ან თვითონ ხალხი შეუდგებოდეს ამ ზომებს იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ხელისუფლება მათ აგვიანებს, აფერხებს. ერთი სიტყვით, სახალხო კანტროლისთვის აქ მოსატანია—რეფერენდუმი.

პარტიათა ცხადათ გამოხატულ ბატონობის დროს, რეფერენდუმიც დაკარგავდა თავის მნიშვნელობას, რადგან იგი აღმოჩნდებოდა, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლება პარტიის მიერ ხელში ჩაგდებული, მონოპოლიათ აღებული. ამიტომ რეფერენდუმმა ფესვი ვერ გაიდგა შეერთებულ შტატებში, თუმცა იგი აქაც გვხდება.

ასევე: პარლამენტარული დემოკრატია დამყარებულია პარტიათა მერყევ ბატონობაზე. ერთი პარტიის ბელადები სტოვებენ თავის სახელმწიფოებრივ პოსტებს, რომ ადგილი მისცენ მეორე მათდამი მტრულ პარტიის ბელადებს,—რაც იგულისხმება პარტიათა წესიერ ბატონობის დროს. მაშასადამე, საკანონმდებლო ხელისუფლებაზე რეფერენდუმის სახით კანტროლს ისევე მცირე ადგილი აქვს, როგორც დემოკრატიაში ხელისუფლების განაწილებითურთ. მაგრამ კანტროლი საქმის წარმოების წესრიგის ფიქსაციის საშუალებითაც და ლეგისლატურაზე მიკუთვნილ ხელისუფლების სიფართოვის შეზღუდვით mabus procedendi-ს დაწესების დროს ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრივ ფორმას, რომელიც პარლამენტში ხედავს სუვერენულ ხალხის უმაღლეს წარმომადგენელს. ამიტომ 1893 წელში საფრანგეთის სენატში ვადდინგტონის მიერ შეტანილი წინადადება რათა ფინანსიურ საქმეებში მთავრობას მიეცეს ინიციატივის უფლება, ჩარიცხეს როგორც ცდა არა მარტო პარლამენტის შეზღუდვისა, არამედ სუვერენულ ხალხის შეზღუდვის ცდათაც. პარლამენტარულმა რესპუბლიკამ გამოიმუშავა კანტროლის მესამე საშუალება,—ესაა—მიმართვა, ხალხისადმი აპელაცია, სახელმწიფოს მეთაურისაგან სახალხო პალატის დათხოვნის—გაშვების გზით.

II საკანონმდებლო ხელისუფლებაზე საქმის-წარმოების წესრიგის საშუალებით კანტროლი.

1. კომიტეტების ბატონობა (government by committee).

დემოკრატიული საკანონმდებლო ხელისუფლების მისწრაფება, რათა ყველაფერი ხელში ჩაიგდოს და განსაკუთრებით კი ის საქმეები, რომელნიც აღმასრულებელ ხელისუფლებას და მმართველობას შეეხებიან,—მისწრაფება, რომელიც უკვე „Federalist“-მა აღნიშნა,—თავის ცხად გამოხატულებას ჰპოულობს პარლამენტარულ კომისიების ბატონობაში, კომისიების, რომელნიც სახელმწიფოებრივ დაწესებულებისავით, იბოჭავს თავის ხელში სახელმწიფოებრივ მმართველობის ფუნქციებს მაშინ, როცა თვით სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი ქვემდებარებითი მდგომარეობაშივარდებიან და ასრულებენ მხოლოდ პარლამენტარულ კომიტეტების მინდობილებებს. კომიტეტების ეს ბატონობა გვხვდება არა მარტო შეერთებულ შტატებში და კავშირის ცალკებრივ შტა-

ტების ლეგის ლატურაში, არამედ უმეშვეო და პარლამენტარულ დემოკრატიაშიც. უმეშვეო დემოკრატიაში ეს ბატონობა არსებობს უკვე იმიტომ, რომ მისი კონსტიტუციის საფუძვლათ სძევს საკანონმდებლო ხელისუფლების ზედმეტობა, ჰარბობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. პარლამენტარულ დემოკრატიაში ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ მასში სავსებით გატარებული ყოფილიყოს ინგლისური ტიპი, რომლის მიხედვით მინისტრებმა და პარლამენტარულ კომისიების წევრებმა უნდა ითანამშრომლონ, როგორც სწორ უფლებოვანმა წევრებმა და შეიტანონ ხოლმე თავისი წინადადებანი პარლამენტში, რომელიც ყოველ პირობებში რჩება dominus negotii. ფაქტიურათ მაინც საფრანგეთში გამომუშავდა პარლამენტარულ კომისიებზე მინისტრების დაქვემდებარება და განსაკუთრებით პარლამენტარულ საბიუჯეტო კომისიაზე,—ფაქტი, რომელსაც ცნობილმა ფინანსიურმა პოლიტიკოსმა ლეონ სემ შემდეგი გამოხატულება მისცა: „საბიუჯეტო კომისია თავს სთვლის თვით მთავრობათ და მინისტრებს კი თავის მომხსენებლებათ“. საფრანგეთში კომიტეტის ბატონობის ფაქტს სწორათ უკავშირებენ ბიუროს სისტემას. დეპუტატთა პალატა ყოველთვიურათ იყოფა 11 ბიუროთ წილის ყრით. თვითეული ბიურო იძლევა კომისიის ერთ წევრს. ამის წყალობით ბიუროს შედგენა ხვდება შემთხვევას და საერთო წესია ის, რომ მინისტრი არ მონაწილეობს კომისიის მოღვაწეობაში; ასეთი გამონაკლისი მინისტრისა შეუძლებელი იქნებოდა ინგლისში ყოველ შემთხვევაში საპატიო კომისიებისთვის მაინც. ფრანგი ავტორიტეტები ამაში ინგლისურ და ფრანგულ პარლამენტარიზმის შორის უმთავრეს განსხვავებას ხედავენ.

ბიუროს სისტემა არის საფრანგეთის რევოლიუციის ნაყოფი და მას შემდეგ იგი იქ დაეფუძნა. თუ კარგათ ჩაუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ საერთოდ კომიტეტების სისტემა, როგორც ეს ზევითაა დახასიათებული, არის რევოლიუციის ნაყოფი. ამერიკულ კომიტეტების ბატონობასაც უკავშირებენ ბრიტანულ რევოლიუციურ იდეების გავრცელებას. კიდევ უფრო ადრე ინგლისის პარლამენტი სცდილობდა სახელმწიფოს მთელი მმართველობა კომიტეტების ხელში ჩაეგდო, ასე რომ კარლოს პირველი იძულებული გახდა ამის წინააღმდეგ ენერგიული პროტესტი განეცხადებია. ინგლისიდან იდეა პარლამენტარულ კომისიების საშუალებით მართველობისა გადავიდა ახალ ინგლისში, სადაც იგი დიდი ხანია რაც არსებობს. ეხლანდელ კონგრესში, ისე როგორც სენატში, ისე როგორც წარმომადგენელთა პალატაში, არსებობს მრავალი მუდმივი მომუშავე კომიტეტი (უკანასკნელში ორმოცდაათამდე მუდმივი კომიტეტი), სადაც გამოდიან მინისტრები, რომელთაც უფლება არა აქვთ კონგრესზე დაესწრონ, იძლევიან ანგარიშებს და ახსნა-განმარტებებს, ღებულობენ დირექტივებს და სხვა.

ისტორიული გამოცდილება გვითითებს, რომ ასეთი მმართველობა კომიტეტების საშუალებით დამახასიათებელია და უნდა იყოს დამახასიათებელი ყოველი დემოკრატიისათვის. ამ ნიადაგზე პარტიათა ბატონობამ შეერთებულ შტატებში განუსაზღვრელ სიძლიერეს მიაღწია. მას ყველაფერი ეუფლება. სპიკერი, რომელიც აწყობს კომიტეტებს, კომიტეტების თავმჯდომარენი—ყველა ესენი პარტიული ბელადები არიან, ასე რომ მთელი საკანონმდებლო ხელისუფლება პარტიულ ბატონობას ემორჩილება. ეს სწორეა არა მარტო კონგრესის შესახებ, არამედ კავშირის ცალკებრივ შტატების საკანონმდებლო ხელისუფლებათა შესახებაც. ამიტომაც კანტროლი საკანონმდებლო ხელისუფლებაზე უნდა მდგომარეობდეს კონსტიტუციურ კანტროლში პარლამენტარულ საქმის წარმოების წესრიგზე.

2. კონსტიტუციური კანტროლი საქმის წარმოების წესრიგზე.

პირველად ყოვლისა მრავალ შტატში კონსტიტუციები აწესებენ სესიის განმავლობის ძლიერ მცირე ვადას. შემდეგ. ზოგიერთ შტატში გვხდება გარკვევა „იმის შესახებ, რომ პარლამენტები უნდა იკრიბებოდენ არა ყოველ წლიურად, არამედ თვითეულ ორ წელიწადში და მეტიც თვითეულ ოთხ წელიწადში (მისსისიპპი და ალაბამა) და მხოლოდ ექვს შტატშია დაწესებული პარლამენტის ყოველწლიური მოწვევა (გეორგია, მასსაჩუზეტსი, ნიუ ჯერსკი, როდ აილენდი, ნიუიორკი და სამხრეთი კაროლინა). სესიის მოკლევადიანობას ზოგიერთ შტატში იმით აღწევენ, რომ დიეტას იძლევიან სესიის დღეების განსაზღვრულ რიცხვზე. ასე მაგალითად, ტენნესის კონსტიტუციით მხოლოდ 75 დღის, ტეხასში მხოლოდ—60 დღისას. დელევარაში ფლორიდაში, ინდიაში, კენტუკში, ლიუზიანაში, და სხ. სესია საერთოდ შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ 60 დღეს, ალაბამაში, გეორგიაში, კანზასში და ნევადაში—50 დღე, სამხრეთ კაროლინაში და უაინგში—სულ—40 დღე. ამ ორი საშუალებით სესიის მოკლევადიანობით და მისი იშვიათობით, სცდილობენ დაიცვან საკანონმდებლო მანქანა მეტათ ნაჩქარევ მუშაობისაგან.

სხვა მრავალი კონსტიტუციური მიწერილობა კიდევ დაწვრილებით აწესრიგებს საქმის წარმოების წესსრიგს. ასე მაგ. ზოგიერთი კონსტიტუცია მიუწერს, რომ კანონი რომელიც ქმნის ახალ უფლებას (წინააღმდეგ საკანონმდებლო ხელისუფლების მიშველ ბრძანებისა: ordinance) უნდა ინახავდეს განსაკუთრებულ მუხლს კანონის მოქმედებაში მოყვანის შესახებ—enacting clause. ეს უნდა იყოს დაბრკოლება საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებაშემოქმედების წინააღმდეგ უბრალო რეზოლიუციების გზით, გუბერნატორის ვეტოს გვერდ მოსავლელათ. კონსტიტუციის სხვა მიწერილობა ამბობს, რომ კანონს არ შეუძლია მოაწესრიგოს ერთზე მეტი, რაზეც საგნის სათაურშია მითითებული. ამ მიწერილობით განსაკუთრებით სათაურის შესახებ მიწერილობით, აღწევენ მას, რომ საზოგადოება ყურადღებას აქცევს ბილლის მნიშვნელობას. მიწერილობა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ერთი საგანი შეიძლება მოწესრიგებულ იქნეს კანონის მიერ, ეჯახება საკანონმდებლო ხელისუფლების ეგრეთ წოდებულ log rollrng-ს ესე იგი სრულიად სხვა და სხვა გვარ ნორმების ერთ კანონში შეერთებას, იმ მიზნით, რომ მორიგდეს სხვა და სხვა ინტერესები, რომელთა წარმომადგენლებს მხოლოდ კომპრომისის გზით შეუძლიათ ხმა მისცენ ამ კანონს. ასეთი log—roliing? არის უხეში გადაგვარება დემოკრატიული „საერთო ნებისა“—volonté génerale. კონსტიტუციის მთელი რიგი (როგორიცაა: არკანზასი, ჩრდილო დაკოტა, პენსილვანია, უომინგი, ვაშინგტონი და სხ.) მოითხოვს, რომ არც ერთი კანონი არ შეიძლება გასწორებულ იქნეს შეტანილი შესწორებებით იმდენათ, რომ ამით შემოცვლილი იქნეს მისი პირველ დასაწყისითი მიზანი; ეს მიწერილობა დაბრკოლებას უჩენს საკანონმდებლო პალატების საყვარელ პრაქტიკას ისე ფართოდ შეასწორონ ბილლი, რომ პირველ დასაწყისითი ბილლიდან დარჩეს მხოლოდ enacting clause და შეიძლება კიდევ გაუგებრობის გამომწვევი სათაური. რომ წინააღმდეგობა გაეწიოს საკანონმდებლო ხელისუფლების ქარაფშუტულ მუშაობას, აკრძალულია უწინ გამოცემულ კანონზე მითითების დროს დაკმაყოფილდეთ კანონის მარტო სათაურის და პარაგრაფების მოყვანით, არამედ ამგვარი მითითების დროს საჭიროა სინამდვილით მიუთითოთ არსებულ უფლების მიმართ მის მიერ მოხდენილ ცვლილებაზე. სესიის უკანასკნელ დღეებში, როცა საკანონმდებლო კორპუსი სცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა კენჭი უყაროს ბილლებს, რომ თავიდან აცილებული იქნეს მრავალი ბილლის თავის მოყრა, დაგროვება, ზოგიერთი კონსტიტუცია მიუწერს, რომ ბილლი შეტანილი უნდა იქნეს სესსიის გახსნისას განსაზღვრულ ვადაში. ამ ვადის განმავლობა უდრის სესიის გახსნის შემდეგ—მაგალითად, კოლორადოში—30 დღეს., კალიფორნიაში—50 დღეს., მერილენდი და ვაშინგტონი კრძალავენ ბილლის შეტანას სესიის უკანასკნელ ათ დღეში და სხვა. ამგვარი მიწერილობაა მინნეზოტის და ინდიანას კონსტიტუციაში. ინდიანაში აკრძალულია გუბერნატორისათვის ბილლის გადაცემა იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იქნეს მის მიერ ვეტოს დადება სესიის დახურვისას ორი დღის შემდეგ,—მინნეზოტში კი აკრძალულია ბილლის გატარება სესსიის დახურვის დღეს. 28 კონსტიტუცია მიუწერს, რომ კანონ-პროექტის სამჯერ წაკითხვა უნდა ხდებოდეს სამ სხვა და სხვა დღეს. ხშირათ გვხვდება მიწერილობა, რომ ბილლის მესამეჯერ წაკითხვა შეიძლება არც კი მოხდეს, თუ მას ისედაც მხარს უჭერს დამსწრე წევრთა $^2/_3$—$^4/_5$. მაგრამ ზოგიერთ შტატში მესამეჯერ წაკითხვა უნდა იყოს გადამწყვეტი; ის ზედმეტია იმ შემთხვევაში, თუ იგი პალატის მიერ ერთხმათაა მიღებული. თუ როგორ შორს მიდის საქმის წარმოების წესრიგში შეზღუდვა ამას გვიჩვენებს ნიუიორკის კონსტიტუციის გარკვევა: „არც ერთი ბილლი არ შეიძლება გატარდეს ანუ შეიქნეს უფლებათ, თუ იგი სამი დღით ადრე მაინც მის საბოლოო მიღებამდე არ იქნა დაბეჭდილი და თავის უკანასკნელ რედაქციაში დადებული თვითეული დეპუტატის პიუპიტრზე,—მხოლოდ გუბერნატორს ან მის მოადგილეს შეუძლია თავის ხელმოწერით და შტატის ბეჭდის დასმით მოითხოვს ბილლის აუცილებლათ დაუყონებლივ გატარება. ბილლის უკანასკნელ კითხვის დროს არ შეიძლება შეტანილ იქნეს არავითარი შესწორება“.

კენტუკკის კონსტიტუცია 1891 წ. მიუწერს აგრეთვე ბილლის წინასწარ ბეჭდვის შესახებ. ვოვლათ შემძლე კომიტეტებში გაჭიანურების თავიდან ასაცილებლათ იგივე კონსტიტუცია მიუწერს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი დააგვიანებს მოხსენების წარმოდგენას რომელიმე ზომის შესახებ (ეგრეთ წოდებული report), მაშინ პალატის თვითეულ წევრს უფლება აქვს პალატის ყურადღება მიაქციოს ამ ზომაზე და კამათი გამოიწვიოს. მისსურში და კენტუკკში ბილლის გატარებას ართავს ფორმალური აქტი, რომელსაც ხელს აწერს პალატის თავმჯდომარე. ეს ხელის მოწერა ერთ დონემდე ადასტურებს ბილლის სწორათ გატარების ფაქტს. მისსურში პალატის თვითეულ წევრს შეუძლია პროტესტი განაცხადოს ასეთი დადასტურების წინააღმდეგ, და თუ მას მხარს უჭერს კიდევ ოთხი წევრი, მაშინ ეს პროტესტი შეტანილ უნდა იქნეს კამათის ოქმში. რომ წინააღმდეგობა გაეწიოს ბილლის გატარებას პალატის უმცირესობის მონაწილეობით, კონსტიტუციები ჩვეულებრივ აწესებენ, რომ ბილლის საბოლოო მიღებისათვის საჭიროა, რათა მას ხმა მისცეს არჩეულ წევრთა უმრავლესობამ (კენტუკკში $^2/_5$-მა). ზოგიერთი კონსტიტუციები მოითხოვენ, რომ კამათის ოქმში შეტანილ იქნეს ყველა მომხრე და მოწინააღმდეგე, სხვა კონსტიტუციები ადგენენ, რომ ასეთი შეტანა უნდა მოხდეს მხოლოდ ერთი წევრის წინადადების შემდეგ. ურადიკალესი შეზღუდვა, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ზოგიერთ კონსტიტუციაში, მდგომარეობს იმაში, რომ კანონმდებლობას სრულიად აკრძალული აქვს ზოგიერთ ცალკებრივ საგნებს შეეხოს. სამხრეთ დაკოტას კონსტიტუცია ასეთ საგნებს ჩამოსთვლის 45-ს, ვაშინგტონის კონსტიტუცია—84, ჩრდილოეთ დაკოტას კონსტიტუცია კი—90-ს.

განსაკუთრებული მიწერილობა არსებობს ფინანსიურ და განსაკუთრებით საბიუჯეტო კანონების შესახებ (appropriation acts); ასე მაგალითად, მრავალ შტატში სარგებლობენ მუდმივ აპროპრიაციის დანიშნულებათა სისტემით, რომლის მიხედვით ზოგიერთი მუხლი ითვლება კონსტიტუციის თანახმათ ყოველთვის მიღებულათ (ასეა კოლორადოში, კონნექტიკუტ, იოვა, მიინეზოტ, ნიუ-გემპშირ, ჩრდილოეთ დაკოტა, სამხრეთ კაროლინა, ვერმონტ, ჩრდილო ვირგინია და ვისკონსინში). სხვა მრავალი შტატი, როგორიცაა: ალაბამა, არკანზასი, კალიფორნია, პენსილვანია და სხ., მოითხოვს, რომ საბიუჯეტო კანონი შეიცავდეს მხოლოდ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებზე ჩვეულებრივ გასავალს და სახელმწიფოებრივ ვალს. ამით შეიძლება თავიდან აცილებული იქნეს განსაკუთრებული საშეღავათო ასიგნობანი, Liebesgaben, ცალკებრივ ადგილებისთვის ან კერძო კორპორაციებისათვის, რომელთაც ჩვეულებრივ მოითხოვენ დეპუტატები თავის ამომრჩეველთა სასარგებლოთ,—ბოროტ-მოქმედება, რომელიც გვხვდება აგრეთვე საფრანგეთშიც. საერთო გავრცელებული ნორმები უკვე მითითებულთან კავშირში არის ის, რომლის მიხედვით დანიშნულებანი, რომელნიც გულისხმობენ სხვა გასავალს (ეგრეთ წოდებული სპეციალური აპროპრიაციონი) შეიძლება გადაწყვეტილი იქნენ მხოლოდ ცალკე, თვითეული ცალკებრივ კანონის სახით. მისსურის კონსტიტუცია მიუწერს განსაკუთრებულ წესრიგს საბიუჯეტო კანონის გასავლის ცალკებრივ [illegible] შესახებ: ადრე მოთავსებულ მუხლისთვის ასიგნობაც ადრე უნდა იქნეს.

კონსტიტუციის ყველა ზემოაღნიშნული მიწერილობა იმყოფება ჩვეულებრივ სასამართლოს მფარველობაში, და ამაში მდგომარეობს კანტროლის ამ საშუალებათა ნამდვილი ძალა.

ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომ. მოსვლა.

ტფილისში საგანგებო მატარებლით ჩამობრძანდა ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარე ნასიბ-ბეგ იუსუბეკოვი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელ ადერბეიჯანში ბ-ნ გ. კ. ალშიბაისთან ერთად. მათთან ახლდენ უცხოელ სახელმწიფოთა კავშირის უფროსი აზიზ-ბეკ თაიროვი, პირადი მდივანი ალი ახპერ სადიკოვი, ბაქოს გუბერნიის ვიცე გუბერნატორი ადელ ხან ხოილი და საგანგებო მინდობილებათა შტაბ-ოფიცერი ხან ნახჩევნელი. სადგურზე მათ შეეგებნენ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე საგარეო საქმეთა მინისტრი ბ ნი ე.პ. გეგეჭკორი, მათი ამხანაგი ბ-ნი საბახტარაშვილი, მიწათ მოქმედების მინისტრი ბ ნი ხომერიკი, სამხედრო მინისტრის მოადგილე ბ-ნი გედევანიშვილი, ქალაქის მოურავი ბ-ნი ჩხიკვიშვილი და რესპუბლიკის რკინის გზების უფროსი ბ-ნი ქიქინაძე და სხვა საპატიო პირნი. ბატონ იუსუბეკოვს პირველი მისალმებით მიმართა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ბატონ გეგეჭკორმა. სამადლობელ მხურვალე პასუხის შემდეგ ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარემ დაათვალიერა საპატიო ყარაული, რომელმაც ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა მათზე და მადლობა გადაუხადა ყარაულს. სადგურიდან ბატონი იუსუბ-ბეკოვი ბატონ გეგეჭკორთან და ბ ნ ალშიბაიასთან ერთათ გაემგზავრა სასტუმრო „ორიანტში“ საცა იგია ჩამომხტარი მთელი ამალით.

ბ ნი იუსუბ-ბეკოვი მთელი ამალით ბრძანდებოდა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ე. პ. გეგეჭკორთან და ხანგრძლივი ბაასი ჰქონდათ.

ტფილისის თვითმართველობაში

მასწავლებლების თხოვნები.

ქალაქის გამგეობას მრავალი მასწავლებელი აძლევს თხოვნებს სამსახურის მიცემის შესახებ. მთხოვნელთა რიცხვი დიდია, მაგრამ ქალაქის სასწავლებლებში ამ ჟამათ თავისუფალი ადგილები სრულიად აღარ მოიპოვება.

სანიტარიო გადასახადის აკრება.

ერთდროულ სანიტარო გადასახადის შეტანა ვაჭარ-მრეწველების მიერ უკვე დაიწყო. ქალაქის გამგეობამ უკვე დაამთავრა წინასწარი ზომები იმ შემთხვევისათვის, თუ გადასახადი თავისი ნებით არ შეიტანეს.

ქუჩებში ძაღლების გამრავლება.

ქალაქის თვითმართველობამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბოლო დროს ქალაქის ქუჩებში ძალიან გამრავლდა უპატრონოთ მოხეტიალე ძაღლები, ამის გამო ქალაქის მოურავი მოელაპარაკა გამგეობის წევრს ბესელიძეს, რომელიც დაჰპირდა შესაფერი ზომების მიღებას.

ახალი წყალსადენი.

ახალი წყალსადენის ორივე ნატახტარის და ბულაჩაურის პროექტის პრაქტიკულად გამოკვლევას სექტემბრის შუა რიცხვებში შეუდგებიან. ამ ჟამათ სწარმოებს წინასწარი საკაბინეტო მუშაობა. 15 სექტემბერს ხსენებულ წყაროების დასათვალიერებლათ მიემგზავრება გამოკვლევის ხელმძღვანელი ინჟ. პ. მამრაძე.

ტრამვაის ვაგონების შეკეთება.

ამ დღეებში შეუდგებიან ტრამვაის ვაგონების შეკეთებას. საჭირო მასალები და ვაგონის აუცილებელი ნაწილები უკვე მიღებულია ამ დღეებში გერმანიიდან.

ფოსტა-ტელეგრაფში

ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა ბ. მგელაძემ შემდეგი წერილი მიიღო ინგლისის საველე

ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის უფროს ოფიცრის პოლკოვნიკ გიჩკოვისაგან.

ფ. ტ. ოლქის უფროსს. ტფილისი.

მ. ხ.

ვინაიდან მე ძალიან მალე წავალ ტფილისიდან, უნდა მოგიძღვნათ თქვენ და თქვენს თანამოსამსახურეებს ჩემი გულითადი მადლობა ყველა იმისთვის, რაც თქვენ ჩვენთვის გააკეთეთ.

თქვენ დაგვითმეთ ხელსაწყოები, ხაზები და ბატარიები და გაგვიკეთეთ მთავარი სამუშაოს უდიდესი ნაწილი.

ვერ ვიტყვი, რამდენათ მაღლა ფასდებოდა ჩვენგან თქვენი თავაზიანობა. ჩვენ გვიდგა მეტად ძნელი დრო, და ჩვენი ტელეგრაფის მუშაობა გამოდიოდა ასე კარგათ უმთავრესად თქვენის მეოხებით.

ჩვენთვის მეტად ძვირფასი იყო აგრეთვე ის ყურადღება, რომელიც თქვენ და თქვენმა თანამოსამსახურეებმა აღმოგვიჩინეთ ჩვენ

გიძღვნით რა განმეორებით მადლობას და გისურვებთ რა ყოველივე სიკეთეს, დავშთები თქვენი ერთგული.

ოფიცერი კავშირის უფროსი პოლკოვნიკი **გიჩკოვი.**

—

განახლდა ფოსტა ტელეგრაფის ურთიერთობა ლენკორანთან, პრიშიბთან, ბელიასუვართან და ასტარასთან აზერბეიჯანის რესპუბლიკაში.

კორესპონდენცია უნდა ფასგადახდილი იქნეს აზერბეიჯანის ნიხრით.

უცხოეთში

(საქ. დეპ. სააგ.).

სექტემბრის 6.

მოსკოვი. 5 სექტემბრის ც. ე. კ. ბ. ბიულეტენი.

სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტზე ფინლიანდიის ყურეში მტრის სამხედრო გემები ყუმბარებს უშენენ კოპორის ნაპირებს.

დვინის რაიონში დვინსკის სამხრეთით მდ. დასავლეთ დვინის მარცხენა ნაპირზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. პოლოცკის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო სადგური ზიაბეი, მაგრამ მტრის განახლებული იერიშის გამო იძულებული გახდა დაეტოვებია. ბობრუისკის და ლუნინეცის მიმართულებით ბრძოლა სწარმოებს.

სამხრეთ დასავლეთის ფრონტი. ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით დასტოვეს ქ. კიევი და გამაგრდნენ ახალ პოზიციაზე ჩერნიგოვის სამხრეთით 20—30 ვერსის მანძილზე.

სამხრეთის ფრონტი. სუმის მიმართულებით ცხარე ომი სწარმოებს ვოროჟბის ჩრდილოეთით. სუჯის რაიონში ჩვენმა ჯარებმა დაიპყრეს სოფლები 15—20 ვერსით სამხრეთ-დასავლეთით (?) ხელში ჩავიგდეთ 2 ზარბაზანი. ნოვო-ოსკოლის რაიონში ჩვენი რაზმები ენერგიულათ განაგრძობენ წინსვლას ნოვიოსკოლისაკენ. ესტრატოვის მიმართულებით, სადგურ პოდგორნოესთან ბრძოლის დროს, ხელთ ვიგდეთ 2000 ტყვე, 2 ტყვიის მფრქვეველი, ვინტოვკები და დიდძალი პატრონები. ბოგუჩარის მიმართულებით ჩვენი ჯარები იბრძვიან 20 ვერსით ჩრდილოეთით და 50 ვერსით ჩრდილო-აღმოსავლეთით ქ. ბოგუჩარიდან. უსტ-ბუზულუკის მიმართულებით ჩვენი წინსვლა გრძელდება. ცარიცინის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით წინ წაიწიეს და 25 ვერსზე მიუახლოვდენ ქ. ცარიცინს.

აღმოსავლეთის ფრონტი. ცარიცინის რაიონის ჩვენმა ჯარებმა აიღეს პოკროვსკოე კიაზოვკა 40 ვერსის მანძილზე ცარიცინის აღმოსავლეთით და ენერგიულის ბრძოლით განაგრძობენ წინ სვლას ცარიცინისაკენ. ყიზლიარის მიმართულებით, ბუგოვინის რაიონში, 75 ვერსის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით ასტრახანიდან, ჩვენმა ჯარებმა განაახლეს წინსვლა. ორენბურგის რაიონში ჩვენი ჯარი ენერგიულათ მიიწევს აკტიუბინისკისკენ, ორსკის რაიონში ავიღეთ მთელი წყება სოფლებისა 20-40 ვერსის მანძილზე ორსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით და 60-75 ვერსის მანძილზე ჩრდილოეთით. დამატებითი ცნობების მიხედვით ორენბურგის მსროლელთა მეხუთე დივიზიის დატყვევების დროს, რომელიც მოხდა ორსკის მახლობლად, ჩვენმა ჯარმა წამოიყვანა 2000 ტყვე, 17 ტყვიის მფრქვეველი, 2000 ვინტოვკა, 228 ცხენი, 200,000 პატრონა და სხვა მრავალი სურსათი.

იტალიური პრესა.

გამოიცა 3 დეკრეტი სამოქალაქო, სამხედრო და ფისკალურ საქმეების ამნისტიის შესახებ.

ნარტიმ მექსიკის ელჩი გენერალ ამლორსი მიიღო.

ბრესტიდან იუწყებიან, რომ ამერიკის გენ. პერშინგი ფაშს გამოემშვიდობა და სამშობლოში დაბრუნდა.

ვარშავიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ 8—25 აგვისტომდე ბოლშევიკების ფრონტიდან დავლად წაუღიათ: 465 ვაგონი, 24 ორთქლმავალი, 2 ჯავშნიანი მატარებელი, 15 ზარბაზანი, ამუნიცია და მრავალი სამხედრო მასალა: ტყვეთ წამოყვანილია 50 ოფიცერი, 8.700 ჯარისკაცი.

ტურინში ახლო მომავალში გაიხსნება ეროვნული ხელოვნების გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრება სახალხო განათლების მინისტრი.

ვენეციის მუნიციპალიტეტმა საბჭომ მე 12 ეროვნული გამოფენის გახსნის დროდ დანიშნა 1920 წლის აპრილის 15. გამოფენა 1920 წლ. 31 ოქტომბრამდე გასტანს. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ: ბელგია, ბოჰემია, დანია, საფრანგეთი, დიდი-ბრიტანია, ნორვეგია, ნიდერლანდია, პოლონეთი და შვეცია. მოლაპარაკება სწარმოებს ისპანიასთან, შეერთებულ შტატებთან და შვეიცარიასთან. გამოფენის საერთო წესრიგს მოკლე ხანში გამოაქვეყნებენ.

გაზეთი „სვენკა—დაგბლატ“-ს მოჰყავს ფინანსიური სიძნელის და მსხვერპლის ანგარიში რომელიც იტალიის ჯარმა და მისმა სამხედრო და კომერციულმა ფლოტმა გადაიტანა. შვეციის გაზეთი განიხილავს ყველა ამ ცნობებს, როგორც მაგალითის ომის ისტორიისას, რომელიც დამყარებულია ციფრებზე და სწერს: მოკავშირეები წააგებდნენ ომს 1915 წელში თუ რომ იტალიას არ მიეღო მონაწილეობა მასში.

უმაღლესი საბჭო დასთანხმდა ტიტონის წინადადებაზე, რომ ავსტრიამ უკომპენსაციოთ უნდა დაუთმოს იტალიას რეზენში რკინის გზა, რათა იტალიის ადმინისტრაციას საშუალება ექნება დაუყოვნებლივ ისარგებლოს მით.

ნიდერლანდიის მეფის მეუღლე, რომელის ამსტერდამში საავიაციო საერთაშორისო გამოფენას დაესწრო, ესაუბრა იტალიის განყოფილების წარმომადგენელს და მრავალი ქება შეასხა იტალიის ავიატორებს. მიუხედავათ ძლიერი ქარისა მფრინავები სტაკორპონი და ბოლილა გაფრინდენ, ფრენამ მშვიდობიანად ჩაიარა.

პოსანიოში ავსტრიის ყუმბარების მიერ დანგრეულ სახლში იპოვეს ცნობილ სკულპტორის კანოვის ანდერძი, რომელიც შედგენილია 1809 წელს ესე იგი მის სიკვდილამდე 13 წლით ადრე. ვენეციის მუნიციპალიტეტმა თავისთვის მიიღო ამ ძვირფას საბუთების მზრუნველობა.

სტეფანის სააგენტო უარყოფს იმ ხმებს, თითქოს მთავრობას ღვინის და ყურძნის გატანა აეკრძალოს, პირიქით აკრძალვა ეხება მხოლოდ შემოზიდვას.

ვეტერინარ—სანიტარულ განყოფილებაში.

ციხის-ჯვარის სარძევე ფირმა.

საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნულ კომისიის წევრებმა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ციხის-ჯვრის სარძევე ფირმის გადაცემა ქუთაისის საშრატე სადგურისათვის, დაადგინეს: ვინაიდგან ბორჯომის სახელმწიფო მამულების გამგემ თანხმობა განაცხადა სხვა ბინაზე გადაყვანაზედ ყველა მუშა მოსამსახურეთა, რომელნიც მუშაობენ სკიპიდარის გამოხდის საქმეში, გარდა ერთის ნოქრისა და ყველა შენობების გადაცემაზედ საშრატე სადგურისადმი, მხოლოდ ერთის ოთახის დატოვებით სკიპიდარის გამომხდელ ნოქრისათვის.

სომხეთში

საქართველოს მთავრობასთან მყოფმა სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ერევნიდან ასეთი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„ყაგიზმანსა და სარაყამიშში ბრბოების მოძრაობა შევაჩერეთ. მათი დამარცხება მეტად საგრძნობია. ყარსის ოლქში მშვიდობიანობაა. დანარჩენ ოლქებშიც წესიერება არ დარღვეულა.

—

სომხეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე რუბენ კაჩაზნუნი და ფინანსთა მინისტრად ნამყოფი ენფიეჯიანცი პარიზიდან ამერიკას წავიდნენ სომხეთის ეკონომიურ მდგომარეობის გასაცნობად.

თელავი.

ყაჩაღ უტრუხუნეს მოკვლა თელავში.

მართალია მაზრის ადმინისტრაცია ენერგიულად სდევნიდა ყაჩაღებს და ყოველივე ზომებს ღებდა მათ წინააღმდეგ, მაგრამ ყოველივე ცდა ამაოდ რჩებოდა.

მაინც მათი დევნა არ შეწყვეტილა და რაც ერობის გამგეობამ მილიციის ინსპექტორობის თანამდებობა ჩააბარა უკანასკნელ ორ ომში გამოჯრთობილ კაპიტან კოტე აბაშიძეს, ამ უკანასკნელმა მეტის ენერგიით დაიწყო მოქმედება და საიდუმლო გეგმების შედგენა.

მისი ცნობით 1 ენკენისთვეს ღამე თელავის ბოლოში უნდა გაევლოთ და კოტე აბაშიძეც და რაიონის მილიციის უფროსი გ. კალატოზიშვილი, სულ მცირე რაზმით ხუთამდე კაცით საღამოს 9 საათზე გაემგზავრა ამ ადგილისაკენ ე. ი. აჩინებულში და მთელი ღამე დაეძებდნენ თურმე გარიჟრაჟისას, როცა სიარული სახიფათო გახდა, რომ შორიდან არ დაენახათ და სროლა არ აეტეხათ ბილიკების ახლოს ამოირჩიეს ადგილები და ჩასაფრდნენ. მართლაც გათენებისას შეამჩნიათ 4 კაცი ქვევით მიმავალი, შუბლები ჰქონდათ წამოსხმული და არ ეტყობოდათ ვინ იყვნენ, მაშინ აბაშიძეს დაეძახნა: ხელი მაღლა ასწიეთ. ამ სიტყვების პასუხათ უკან დაიწიეს და სროლა დაიწყეს. კ. აბაშიძის რაზმს მაშინვე სროლა აეტეხა და მცირე, მაგრამ გაცხარებულ სროლის შემდეგ ერთი მათგანი უტრუხუნე მოეკლათ, მეორე როგორც კვალს ეტყობა დაჭრილი უნდა იყოს, თუმცა თავის ამხანაგებთან ერთად ესარგებლათ ხშირი ბუჩქებით და გაქცევით თავს უშველეს.

აბაშიძის რაზმიდან არავინ დაშავებულა, თუმცა ერთ მილიციონერ თუშ აშაძეს ერთი ტყვია მაუზერში აქვს მოხვედრილი, მორეს ტანისამოსში გაუვლია, მაგრამ მაინც იგი უვნებლად გადარჩა.

რკინის გზაზე.

5 სექტემბერს სასწრაფო მატარებლით ერევნიდან ტფილისში ჩამოვიდა სომხეთის უმაღლესი კომისარი პოლ. გასკელი.

—

განახლდა მატარებლების მიმოსვლა ყარსის გზაზე.

—

5 სექტემბერს, დღის 12 საათზე ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა აძერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარე უსუბეკოვი.

6 სექტემბერს საქართველოს სასურსათო საბჭომ მიიღო ბაქოდან 50,000 ფუთი ფქვილი.

—

ყარაიაზში დამზადებულ 150,000 ფ. თივის გადმოსატანათ საჭიროა ყოველდღიურათ 10 ვაგონი.

განცხადებანი

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო, თანახმად პლატონ ისლამის ძე ნოდიას განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს სალდათობიდან სრულიად განთავისუფლების მოწმობა, მიცემული 1918 წელში ქუთაისის მაზრის სამხედრო უფროსისაგან და 1.000 მან. ნაღდი ფული, სთხოვს მნახველებს აღნიშნული მოწმობისა და ფულისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში. 1604 3—3

არამ აკოფის ძე კაზანჯიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საქ. რესპ. ქვეშევრდომობის დროებითი მოწმობა, მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1274 3—3

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ბოქაულის თან. ღ. ი. შ. გულანტია ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 3 ნოემბერს ა. წ. სენაკში ყრილობის სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა თოთხმეტ ნაჭერ ადგილზე. თითეული ნაჭერი ზომით 200 ოთხ. კუთხ. საჟ. ერთად ღირებული 2.800 მ. მდებარე ქ. ფოთში დიდ კუნძულზე. გასასყიდი ქონება ეკუთვნის ვახტანგ ბიჭის ძე კოპლატაძეს, რომელიც შეუძლებელ მოვალეთ არის ნაცნობი სასამართლოს მიერ. ყოველივე ცნობა კანცელარიაში ინახება. მამული იყიდება მისი მოვალეების დასაკმაყოფილებლად კონკურსის წესით. ყიდვა შეიძლება ნაკვეთებად. 1561 3—3

სუმბატ გრიგორის ძე სარქისოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რაიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1281 3 3

დავით ვასილის ძე ჯიგნარაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა სიმწიფის მოწმობა მიღებული 1917 წ. ქუთაისის ქართული გიმნაზიის კანცელარიიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1285 3—3

ვექილობა მიცემული ნაზარეტ არუთინის ძე გოლონჯიანის მიერ თავის ძმებზე: გრიგორი და პეტრეს, დამტკიცებული ყარსის ნოტარიუსის ტერაკოპოვის მიერ დღიდან განცხადებისა გაუქმებულად ჩაითვალოს. 1281 3—3

მილიცა პავლეს ასული მაჭავარიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიცემული ტფ. პოლიტეხნიკუმის კანცელარიიდან № 166, რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1279 3—3

პავლე სტანისლავის ძე დათუაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ბაქოს მილიციის სამმართველოსაგან. პასპორტი ჩაითვალოს გაუქმებულად. 1278 3—2

ალექსანდრე ილიას ძე ჯაფარიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქიათურის სამოქალაქო სასწავლებლიდან აღებული მოწმობა № 230, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1291 3-1

ანდრია გიორგის ძე მონასელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 92, ჯარის კაცობის მოწმობა, პირადობის მოწმობა სურათით, წლიური ბილეთი მესამე კლასისა და პარტიული წიგნაკი. მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს. საჩუქარს მიიღებს. მისამართი: ტფილისი, ვაგონის ცეხი. 1287 3—1

დაკარგულია ატესტატი თემირ-ხან-შურის ქალთა გიმნაზიის შვიდი კლასის კურსის დასრულების, მიცემული ირინე ფურცელაძის ასულზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1233 3-1

სილოვან თემურაზის ძე თოფურია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო საკრებულოს იანვრის რიცხვებში 1918 წ. მიცემული ჯარისკაცობიდან განთავისუფლების მოწმობა. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს. 1297 3-1

ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველო თანახმად დანიელ არონის ძე ფიჩხაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს დროებითი პასპორტი, მიცემული ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველოდან, სთხოვს მნახველებს აღნიშნულ პასპორტისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში. 1605 3-1

დაკარგული დედა

ტ. ვ. ლებედევა ეძებს აპრილში დაკარგულ 11 წლ. ვაჟს ტფილ. რეალურ სასწავლებლის მოწაფეს იური ლებედევს. სთხოვს მათ, ვინც იცის სად არის ის, გააგებინოს შემდეგ მისამართით: ტუი ისი, მეცხრე კომისარიატი, ავჭალის შესახ., № 6, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს. 1296 3—3

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

დროებით რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე